ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

ო ქ მ ი N1

ქ. ამბროლაური **26 თებერვალი 2026 წელი**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომას უძღვებოდა, საბჭოს თავმჯდომარე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი **მარინე ჯაფარიძე** - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრები: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - **ირმა ფრუიძე;** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი - **ერეკლე დოხნაძე;** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **ივანე ცაგურიშვილი;** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - **ბაქარ ბაკურაძე;** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური განყოფილების ხელმძღვანელი - **მარინა ვაჩაძე;** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი - **ლალი დავლიანიძე;** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი - **მირანდა ჯაფარიძე;** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი - **ხათუნა გელოვანი;** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი - **სოფიო ბერიშვილი-რეხვიაშვილი.**

მოწვეული სტუმარი - სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო და ინკლუზიური ცენტრის წარმომადგენელი - **ლია დარახველიძე.**

სხდომას ესწრებოდა 11 წევრი და უფლებამოსილია წარმართოს თავისი საქმიანობა.

დღის წესრიგი

1. 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ღონისძიებების შესრულების და შშმ პირთა მიმართებაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა.

მოისმინეს : ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ქევანაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერა, ყველა ახალი მშენებლობა რომელიც ხორციელდება ითვალისწინებს შესაბამის ადაპტირებულ გარემოს, 2026 წლიდან მუნიციპალიტეტში ამოქმედდა პერსონალური ასისტენტის სერვისი, ასევე 2026 წელს იგეგმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თეატრის „აზდაკის ბაღის“ სპექტაკლის ჩვენება. რაც შეეხება 2025 წელს განხორციელებულ აქტივობებს პრეზენტაციის სახით არის წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა მარინა ვაჩაძემ ისაუბრა 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების/აქტივობების შესახებ, რომ შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების მიზნით 2025 წლის განმავლობაში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. შშმ პირების სარგებლობის მიზნით ქ. ამბროლაურის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ერთი სპეციალური საპარკინგე ადგილი;
2. შშმ პირების ნამუშევრების გამოფენის მიზნით მოეწყო ინკლუზიის ცენტრის ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთები, ნახატები და სხვადასხვა დეკორატიული ნამუშევრები;
3. შშმ პირებისთვის შეძენილი იქნა სპეციალური სამაგიდო თამაშები, წიგნები და სხვადასხვა საჭირო ნივთები, რომელიც ორიენტირებულია სენსორულ და კოგნიტური განვითარებაზე, რაც გულისხმობს აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯითი უნარების და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას;
4. დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით (21 მარტს) ღონისძიების ფარგლებში ,,გავაფერადოთ სამყარო“ ბავშვებს გადაეცათ სასაჩუქრე ამანათები;

5. აქტივობის ,,მოდი ვითამაშოთ ერთად“ ფარგლებში 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, MAC Georgia - ისა და მშვიდობის კორპუსის ერთობლივი პროექტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, შშმ პირების ჩართულობით გაიმართა ღონისძიება, რაც მიზნად ისახავდა მეგობრული გარემოს შექმნას (ღონისძიება ტრადიციულად მოიცავდა ისეთ აქტივობებს, როგორიცაა : კარაოკე, ცეკვა, სპორტი, ხელსაქმე);
6. დაფინანსდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო/ ინკლუზიური და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე შშმ და სსმ პირთა დღის საგანმანათლებლო ცენტრი ,,ბაო“;
7. შეძენილი იქნა სპეციალური სამაგიდე თამაშები, სხვადასხვა ლიტერატურა და გადაეცა სოფ. სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო/ ინკლუზიური ცენტრს და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე შშმ და სსმ პირთა დღის საგანმანათლებლო ცენტრ ,,ბაო“- ს მოსარგებლე შშმ პირებისათვის;
8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის (სოციალური და ჯანდაცვის სამსახური) მიერ მოხდა პერსონალური ასისტენტის სერვისით მოსარგებლე სავარაუდო ბენეფიციართა გამოვლენა;
9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად ესწრებოდნენ ტრეინიგებს შშმ პირთა საკითხებზე;
10. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სოფ. სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო და ინკლუზიური ცენტრი, უზრუნველყოფდა/ს ბენეფიციართა შემდეგ მომსახურებებს, კერძოდ:
   ა) „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“;
   ბ) „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ (შშმ ბავშვები და ზრდასრულები);
   გ) რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა;
   დ) ABA თერაპიით რთული ქცევის მქონე ბავშვებისთვის, როგორც რთული ქცევის სერთიფიცირებული სპეციალისტის, აგრეთვე სერთიფიცირებული მეტყველების თერაპევტის სერვისით;
11. პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით ორგანიზაცია ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისათვის'' 2025 წლის 1 დეკემბრიდან დარეგისტრირდა ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2025 სახელმწიფო პროგრამის“ ,,პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მომსახურების მიმწოდებლად ერთდროულად 5 ბენეფიციარის მომსახურების შესაძლებლობით. სერვისი (მომსახურება), რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით;
12. პროგრამის „ ხარისხიანი (პროფესიული) ბინაზე მოვლის" შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მულტიფუნქციური გუნდი ახორციელებდა/ს ბინაზე მოვლის სერვისებს, ბენეფიციართა მდგომარეობიდან გამომდინარე. 2025 წელს ჩართული იყო 120 ბენეფიციარი; მათ შორის -- შშმ პირი.
13. რაც შეეხება მუნიციპალური პროგრამებს:
   1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრუნვის ხელშეწყობა - (ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვის ყოველთვიური ფულადი დახმარება გაიცემა ოჯახზე/წარმომადგენელზე 100 (ასი) ლარის ოდენობით) - მოსარგებლე იყო 23 ბავშვი;
   2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა - (1. ქვეპროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება, ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსების მქონე პირზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე ვერ იყენებს ზედა და ქვედა კიდურებს და საჭიროებს მომვლელს; 2. ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსების მქონე პირზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე ვერ იყენებს ქვედა კიდურებს/დამოუკიდებლად ვერ ახერხებს გადაადგილებას, საჭიროებს მომვლელს; 3. ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსების მქონე პირზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე არის უსინათლო, აქვს ორივე თვალის სრული/პრაქტიკული სიბრმავე და საჭიროებს მომვლელს) - მოსარგებლე იყო 60 ბენეფიციარი;
   3. „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება - (ქვეპროგრამით მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით დაენიშნა დიალიზის კომპონენტის სამედიცინო მომსახურება (ჰემოდიალიზი ან პერიტონეული

დიალიზი) და სარგებლობს სახელმწიფო პროგრამით („დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“). მოსარგებლე ფინანსდება ყოველთვიურად 300 (სამასი) ლარის ოდენობით) - მოსარგებლე იყო 22 ბენეფიციარი.

აზრი გამოთქვეს: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს 2025 წელს განხორციელებული ღონისძიებები, საბჭოს წევრებმა ისაუბრეს ტრამვატოლოგ ორთოპედის მოწვევის საკითხზე, მოზარდებში ძვალ-სახსროვანი სისტემის დარღვევების გამოვლენის მიზნით. აღსანიშნავია რომ 2025 წელს სადმელის ცენტრში ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებების“ ორგანიზებით იმყოფებოდა ექიმი ორთოპედი რომელმაც რამდენიმე დღიანი სამედიცინო პროცედურები ჩაატარა, 2026 წელსაც იგეგემბა მისი ვიზიტი, დაზუსტებული თარიღის დადგენისას ეცნობება ყველა დაინტრესებულ პირს.
ასევე საბჭოს წევრებმა დააყენეს ინიციატივა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმას დაემატოს ღონისძიება ყვავილებისა და მცენარეების ნერგების დარგვა - სახელწოდებით - „ვიმეგობროთ მცენარეებთან“, წინასწარ შერჩეულ ადგილზე შშმ პირთა ჩართულობით მოხდეს მცენარის ნერგების დარგვა.

მოისმინეს : საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ქევანაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა 2026 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანი, შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებები.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა;
- შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში;
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება;
- შშმ პირების სარგებლობის მიზნით ქ. ამბროლაურის ტერიტორიაზე სპეციალური საპარკინგე ადგილების მოწყობა;
- შშმ პირთა საზოგადოებრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდა;
- შშმ პირების ნამუშევრების გამოფენის მოწყობის ორგანიზება იმ შშმ პირებისთვის, რომლებიც ეწევიან შემოქმედებით საქმიანობას (ხატვა, ქარგვა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება და სხვა);
- შშმ პირებისთვის საჭირო სპეციალური წიგნების და სამაგიდო თამაშების შეძენა;
- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაიმართება ღონისძიება სახელწოდებით ,,გავაფერადოთ სამყარო“;
- შშმ პირთა და მათი მშობელთა პროფესიული გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება (კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი, ინგლისური ენის კურსი და სხვა...);
- შშმ პირების ჩართულობით სახალისო აქტივობის განხორციელება ,,მოდი ვითამაშოთ ერთად“;
- შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერება;
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ერთიანი ბაზის ფორმირება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალური პროგრამების განხორციელება;
- პერსონალური ასისტენტის სერვისის მოცულობის განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან მათი წარმომადგენელთა ჩართვა მუნიციპალიტეტში მოქმედი სამუშაო ჯგუფების და საბჭოების მუშაობაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაში/სტაჟირებაში ხელშეწყობა;
- საზოგადოების და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება/შესაძლებლობების გაძლიერება შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების/სასწავლო ღონისძიებების/ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა უფლებებსა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტებზე;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა საკითხებზე;
- შშმ პირთა მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებისა და სასწავლო ღონისძიებების მოწყობა;
- შშმ პირებთან მომუშავე და უშუალო კონტაქტში მყოფი პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ექსკურსია/ტური ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

- ,,გავიცნოთ რაჭის კულტურული მემკვიდრეობა“ყვავილებისა და მცენარეების ნერგების დარგვა - ,, ვიმეგობროთ მცენარეებთან“.

მომხრე 11 წინააღმდეგი 0

დაადგინა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარედგინოს თანდართული დანართის სახით **ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმა. (ერთვის ოქმს)**

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ქევანაშვილი

საბჭოს მდივანი მარინა ვაჩაძე